585
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

585

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 1

1985

65

უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

78 ბ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 1 (493) იანვარი 1985 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისტლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისტლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

განყოფილება მეორე

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჟურნალ „მნათობის“ მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. დ. ჩხარტიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჟურნალ „მნათობის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. უნივერ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ეურნალ „ბანაოთ მეშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ჩანტლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. მ. გრძელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ბ. კაციტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ლ. კობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. გ. მაღალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

13. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. შ. თორდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

14. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. დ. კერვალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ნ. კაკაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

16. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჭიათურის № 1 საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ე. ბერდულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. უმანსკი-ლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. დ. ჭაჭიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

22. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. დ. ხახუტაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

1 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 4 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1982 წ., № 12, მუხ. 371) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 29-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღსრულების ვადები გამოითვლება საქართველოს სს რესპუბლიკაში მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებული წესით“.

2. 35-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 35. სამხედრო და სხვა წოდებათა, აგრეთვე ორდენების, მედლების, საპატიო სიგელებისა და საპატიო წოდებების ჩამორთმევა

მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს სამხედრო თუ სპეციალური წოდების მქონე პირს ეს წოდება შეიძლება ჩამოერთვას სასამართლოს განაჩენით.

მძიმე დანაშაულისათვის იმ პირის მსჯავრდებისას, რომელიც დაჯილდოებულია ორდენით, მედლით, საპატიო სიგელით, ან რომელსაც აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მინიჭებული საპატიო წოდება, ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მინიჭებული სამხედრო თუ სხვა წოდება, სასამართლო განაჩენის გამოტანისას გადაწყვეტს მსჯავრდებულისათვის ორდენის, მედლის, საპატიო სიგელის ან საპატიო, სამხედრო თუ სხვა წოდების ჩამორთმევის შესახებ წარდგინების იმ ორგანოში შეტანის მიზანშეწონილობის საკითხს, რომელმაც მსჯავრდებული ორდენით, მედლით თუ საპატიო სიგელით დაჯილდოდა ან წოდება მიანიჭა მას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 202-ე მუხლში:

მუხლის სათაურს დაემატოს სიტყვები „ანდა იმ ქონების დამალვა ან მითვისება, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება“;

მუხლი შეიცვალოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილით:

„იმ ქონების დამალვა ან მითვისება, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორასს მანეთამდე“.

4. 203[2] მუხლის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომა-აღმზრდელობით ან სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 4 იანვარი.
№ 2888—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

2 საქართველოს სს რესპუბლიკაში მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 15 მარტის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 4 იანვარი.
№ 2887—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1985 წლის 4 იანვრის
ბრძანებულებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად იმ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესსა და პირობებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან, განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ეს დებულება განსაზღვრავს ისეთ სასჯელთა აღსრულების წესსა და პირობებს, როგორიცაა გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, თანამდებობიდან დათხოვნა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, ქონების კონფისკაცია, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა, მშობლის უფლებების ჩამორთმევა.

მუხლი 2. სასჯელის აღსრულების საფუძველი

ამ დებულების პირველ მუხლში ჩამოთვლილ სასჯელთა აღსრულების საფუძველია სასამართლოს განაჩენი, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული.

კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს მისი გამომტანი სასამართლო აღსასრულებლად მიაქცევს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ან საკასაციო ინსტანციის მიერ საქმის დაბრუნებიდან არაუგვიანეს სამი დღე-ღამისა.

მუხლი 3. მსჯავრდებულთა სამართლებრივი მდგომარეობა

ამ დებულების პირველ მუხლში ჩამოთვლილი სასჯელებით მსჯავრდებულთ ეკისრებათ მოვალეობანი და ისინი სარგებლობენ იმ უფლებებით, რომლებიც სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის დადგენილია კანონმდებლობით, მაგრამ მსჯავრდებულთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებით, აგრეთვე სასამართლოს განაჩენიდან და ამ სახის სასჯელის აღსრულების კანონით დადგენილი წესიდან გამომდინარე შეზღუდვებით.

სსრ კავშირში უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც მსჯავრდებული არიან ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულების პირველ მუხლში ჩამოთვლილი სასჯელებით, განისაზღვრული სსრ კავშირის კანონმდებლობით, რომლითაც დადგენილია ამ პირთა ვალეგობანი სსრ კავშირში მათი ყოფნის დროს, მსჯავრდებულთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებით, აგრეთვე სასამართლოს განჩენიდან და ამ სახის სასჯელის აღსრულების კანონით დადგენილი წესიდან გამომდინარე შეზღუდვებით.

მუხლი 4. საპროკურორო ზედამხედველობა სასჯელის აღსრულებაზე ამ დებულების პირველ მუხლში ჩამოთვლილ სასჯელთა აღსრულებისას კანონების ზუსტად დაცვისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პროკურორი და ქვემდგომი პროკურორები „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

თავი II

გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

მუხლი 5. გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის მიქცევა აღსასრულებლად

თუ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დაინიშნა როგორც ძირითადი სასჯელი ან იმ სასჯელის დამატებით, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე თუ ის მიესაჯა პირობით მსჯავრდებულს ან პირს, რომელსაც განაჩენის აღსრულება გადაუდეს, მაგრამ დამატებითი სასჯელის აღსრულება არ გადაუდიათ, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ასლს სასამართლო აღსასრულებლად უგზავნის მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, აგრეთვე მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შინაგან საქმეთა ორგანოს ამ დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად აღნიშნული სახის სასჯელის აღსრულებაზე კონტროლის განსახორციელებლად.

თუ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დაინიშნა როგორც თავისუფლების აღკვეთის დამატებითი სასჯელი, მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული მოიხდის ძირითად სასჯელს ან მას ვადამდე პირობით გაათავისუფლებენ, ანდა სასჯელს უფრო მსუბუქი სასჯელით შეუცვლიან, შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაცია განაჩენის ასლს უგზავნის შინაგან საქმეთა ორგანოს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც დამატებითი სასჯელი, დაენიშნა შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილ ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით განთავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულს, განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანო, თუ აღნიშნული ბრალდებული ჯელი აღსრულებული არ არის, შრომაში სავალდებულო ჩაბმის ვადის გასვლის შემდეგ განაჩენის ასლს უგზავნის შინაგან საქმეთა ორგანოს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 6. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის მოვალეობანი გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის აღსრულების საქმეში

მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია განაჩენის ასლის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, წყვეტს შრომის ხელშეკრულებას მსჯავრდებულთან, რომელსაც დაკავებული აქვს ის თანამდებობა ან რომელიც ეწევა იმ საქმიანობას, რომელთა უფლებაც მას ჩამოერთვა, და სასამართლოს განაჩენის ზუსტი შესაბამისობით მსჯავრდებულის შრომის წიგნაკში შეაქვს ჩანაწერი, თუ რის საფუძველზე, რა ვადით და რომელი თანამდებობის დაკავების ან რომელი საქმიანობის უფლება ჩამოერთვა მას. ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებენ განაჩენის გამომტან სასამართლოს და შესაბამის შინაგან საქმეთა ორგანოს, რომელიც ახორციელებს კონტროლს აღნიშნული სასჯელის აღსრულებაზე.

ადმინისტრაციას მსჯავრდებულის თანხმობით უფლება აქვს მისცეს მას იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სხვა თანამდებობა ან სხვაგვარი შრომითი საქმიანობის შესაძლებლობა, თუ ეს განაჩენს არ ეწინააღმდეგება.

გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმეეთან მსჯავრდებულის სამუშაოზე მიღებისას, როცა მის შრომის წიგნაკში არ არის შესაბამისი ჩანაწერი, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, შინაგან საქმეთა ორგანოს წარდგენებით, რომელიც ახორციელებს კონტროლს ამ სახის სასჯელის აღსრულებაზე, სასამართლოს განაჩენის ზუსტი შესაბამისობით შრომის წიგნაკში შეაქვს ჩანაწერი, თუ რის საფუძველზე, რა ვადით და რომელი თანამდებობის დაკავების ან რომელი საქმიანობის უფლება ჩამოერთვა მას.

გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით სასჯელმოხდილს ან ამ სახის სასჯელისაგან კანონით დადგენილი წესით განთავისუფლებულს, თავისივე თხოვნით, შრომის წიგნაკის ნაცვლად ეძლევა მისი დუბლიკატი, რომელშიც არ შეაქვთ ჩანაწერი სასჯელის შესახებ.

მუხლი 7. პირობით მსჯავრდებულთა და პირობით განთავისუფლებულთა შრომაში სავალდებულო ჩაბმის ადგილის მიხედვით შრომა-გასწორების დაწესებულებებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მოვალეობანი

შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას არ შეუძლია თავისუფლების აღკვეთის მოხდის დროს ის პირები, რომლებიც აგრეთვე მსჯავრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული არიან დამატებითი სასჯელით გარკვეული თანამდებობის, ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით, გამოიტანონ სამუშაოზე, რაც მათ განაჩენით აქვთ აკრძალული.

გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დამატებითი სასჯელის აღსრულება შრომაში საალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის პირობით მსჯავრდებულთა ან შრომაში საალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით განთავისუფლებულთა მიმართ ეკისრებათ შინაგან საქმეთა ორგანოებს მსჯავრდებულის შრომაში საალდებულო ჩაბმის ადგილის მიხედვით.

მუხლი 8. შინაგან საქმეთა ორგანოს მოვალეობანი გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის აღსრულებაზე კონტროლის საქმეში

შინაგან საქმეთა ორგანო მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით:

აკონტროლებს, თუ როგორ ასრულებს მსჯავრდებული სასამართლოს განაჩენს გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვის შესახებ;

ამოწმებს, თუ როგორ ასრულებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

მუხლი 9. გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღსრულების ვადების გამოთვლა

თუ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დანიშნულია ძირითად ან ისეთი სასჯელის დამატებით სასჯელად, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე პირობით მსჯავრდების, ანდა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადადებისას იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი სასჯელის აღსრულება არ გადაუდიათ, სასჯელის აღსრულების ვადა გამოითვლება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

თუ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დანიშნულია როგორც თავისუფლების აღკვეთის დამატებითი სასჯელი, იგი ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულის ყოფნის მთელი დროის მანძილზე და, გარდა ამისა, განაჩენით დადგენილ ვადაზეც.

თუ შრომაში საალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილს დამატებით სასჯელად დაენიშნეს გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, მისი ვადა გამოითვლება სახალხო მეურნეობის საწარმოებში (მშენებლობებზე) მუშაობის საალდებულო ვადის დაწყების მომენტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომაში საეალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით განთავისუფლებულის მიმართ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დამატებითი სასჯელის ვადა გამოითვლება სახალხო მეურნეობის საწარმოებში (მშენებლობებზე) მუშაობის საეალდებულო ვადის დაწყების მომენტიდან.

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც შეუფარდეს ვადამდე პირობით განთავისუფლება ან სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით, დამატებითი სასჯელის ვადა გამოითვლება თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მისი განთავისუფლების მომენტიდან.

მუხლი 10. გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის შეუსრულებლობის შედეგები

იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით მსჯავრდებული მოეწყობა ისეთ სამუშაოზე, რომლის შესრულებაც მას განაჩენით აქვს აკრძალული, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაცია თავის ინიციატივით, ანდა შინაგან საქმეთა ორგანოს ან პროკურორის წარდგენებით, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტს მსჯავრდებულთან შრომის ხელშეკრულებას.

იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით მსჯავრდებული კვლავ ეწევა ასეთ საქმიანობას, შინაგან საქმეთა ორგანოს შეაქვს წარდგენება შესაბამის საწარმოში, დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში, რომლითაც წინადადებას აძლევს მათ სამი დღის ვადაში მიიღონ ზომები მსჯავრდებულისათვის განაჩენით აკრძალული შრომითი საქმიანობის შესაწყვეტად და აფრთხილებს, რომ განაჩენის შეუსრულებლობა გამოიწვევს სისტლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით მსჯავრდებულს, აგრეთვე გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს განაჩენის შეუსრულებლობაში დამნაშავე თანამდებობის პირს ეკისრება საქართველოს სსრ სისლის სამართლის კოდექსის 203[5] მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

თავი III

ჯარიმის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

მუხლი 11. ჯარიმის დანიშვნის შესახებ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა

განაჩენის გამომტანი სასამართლო წინადადებას აძლევს მსჯავრდებულს ერთი თვის ვადაში ნებაყოფლობით შეიტანოს ჯარიმის თანხა სახელმწიფო შრომითს შეშნახველ სალაროში ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში და აფრთხილებს მას, რომ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ამ თანხას იძულებითი წესით გადაახდევინებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმის გადახდა შეიძლება გადაიდოს ან განაწილდეს ექვსთვემდე ვადით, თუ მსჯავრდებულის მიერ ჯარიმის დაუყოვნებლივ გადახდა შეუძლებელია.

თუ ჯარიმის გადახდა შეუძლებელია, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მისი შეცვლა საზოგადოებრივი გაკიცხვით.

მუხლი 12. ჯარიმის იძულებითი გადახდევინება

მსჯავრდებულის მიერ ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას ჯარიმის სახით განაჩენის აღსრულება ხდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და განაჩენის გამომტანი სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლის საფუძველზე.

ჯარიმის გადახდევინების მიქცევა ხდება მსჯავრდებულის პირად ქონებაზე, აგრეთვე მის წილზე საერთო საკუთრებაში.

გადახდევინების მიქცევა მსჯავრდებულის ხელფასსა ან სხვა შემოსავალზე, პენსიასა თუ სტიპენდიაზე ხდება იმ შემთხვევაში, თუ მას არ გააჩნია ქონება ან ეს ქონება არასაკმარისია ჯარიმის სრულად გადახდევინებისათვის.

მსჯავრდებულის ქონებაზე გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს, თუ გადასახდელი თანხის ოდენობა არ აღემატება თვიური ხელფასის ან სხვა შემოსავლის, პენსიისა თუ სტიპენდიის იმ წილს, რომელზეც კანონით შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

ჯარიმის გადახდევინებისას არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს ქონება, რომელიც არ ექვემდებარება კონფისკაციას სასამართლოს განაჩენით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართი).

მუხლი 13. ჯარიმის სახით სასჯელის აღმსრულებელი ორგანო

ჯარიმის სახით სასჯელის აღსრულება, როგორც ძირითადი სასჯელის ან პირობით მსჯავრდებისას დამატებითი სასჯელისა, ხდება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლოს აღმასრულებლების მიერ მსჯავრდებულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, ანდა მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

ჯარიმის, როგორც თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, აგრეთვე შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთის დამატებითი სასჯელის, აღსრულება ხდება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლოს აღმასრულებლების მიერ მსჯავრდებულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ანდა მისი ქონების ადგილსამყოფლისა თუ ძირითადი სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით.

მუხლი 14. ჯარიმის სახით სასჯელის აღსრულებისაგან ბოროტად თავის არიდების შედეგები

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული ბოროტად თავს არიდებს ძირითადი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის გადახდას, სასამართლოს, სასამართლოს აღმასრულებლის წარდგინებით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია ჯარიმის გადაუხდელი თანხა შეცვალოს სასჯელით თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით შემდეგი გაანგარიშებით — გამასწორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი სამუშაოების ერთი თვე ოცი მანეთის ჯარიმით, მაგრამ არაუმეტეს ორი წლის ვადისა სსრ კავშირის კანონმდებლობითა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 15. აღსასრულებელ მოქმედებათა დამთავრება

აღმასრულებელი ფურცელი იმის აღნიშვნით, რომ განაჩენი ჯარიმის გადახდევინების შესახებ აღსრულდა, უბრუნდება განაჩენის გამომტან სასამართლოს.

თავი IV

თანამდებობიდან დათხოვნის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

მუხლი 16. თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა

თუ თანამდებობიდან დათხოვნა დაინიშნა როგორც ძირითადი სასჯელი ან იმ სასჯელის დამატებით, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე თუ ის მიესაჯა პირობით მსჯავრდებულს ან პირს, რომელსაც განაჩენის აღსრულება გადაუდეს, მაგრამ დამატებითი სასჯელის აღსრულება არ გადაუდიათ, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ასლს სასამართლო უგზავნის მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას.

თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ განაჩენის აღსრულებას კონტროლს უწევს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელი.

მუხლი 17. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოვალეობანი თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ განაჩენის აღსრულების საქმეში

მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია განაჩენის ასლის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად წყვეტს შრომის ხელშეკრულებას მსჯავრდებულთან. ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ განაჩენის გამომტან სასამართლოს.

სასამართლოს განაჩენით სამუშაოდან დათხოვნილი არ შეიძლება მიიღონ იმავე თანამდებობაზე ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე.

ადმინისტრაციას მსჯავრდებულის თანხმობით შეუძლია მისცეს მას სხვა სამუშაო ამავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V

საზოგადოებრივი გაკიცხვის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

მუხლი 18. საზოგადოებრივი გაკიცხვის სახით სასჯელის აღსრულება სასამართლოს მიერ

სასჯელს საზოგადოებრივი გაკიცხვის სახით აღასრულებს განაჩენის გამომტანი სასამართლო და მდგომარეობს განაჩენის გამოცხადებისას სასამართლოს მიერ დამნაშავის საჯაროდ გაკიცხვაში, რაც განაჩენითაა დადგენილი.

მუხლი 19. საზოგადოებრივი გაკიცხვის სახით სასჯელის დანიშვნის შესახებ განაჩენის შეტყობინება საზოგადოებრიობისათვის

თუ განაჩენი ითვალისწინებს პრესის ან სხვა რაიმე საშუალებით საზოგადოებრივი გაკიცხვის შეტყობინებას საზოგადოებრიობისათვის, განაჩენის ასლს, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სასამართლო გადაუგზავნის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მსჯავრდებულს სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ანდა პრესის ორგანოს, რომლებიც მიღებული ზომების შესახებ ერთი თვის ვადაში შეატყობინებენ სასამართლოს. შრომითს კოლექტივს განაჩენს შეატყობინებენ კრებებზე, მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების ან სხვა საშუალებით.

ამ შემთხვევაში განაჩენის აღსრულებას კონტროლს უწევს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელი.

თავი VI

ქონების კონფისკაციის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

მუხლი 20. ქონების კონფისკაციის დანიშვნის შესახებ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა განაჩენი დამატებითი სასჯელის სახით ქონების კონფისკაციის შესახებ, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აღმასრულებელ ფურცელს, ქონების აღწერის ასლსა და განაჩენის ასლს აღსასრულებლად უგზავნის სასამართლოს აღმასრულებელს, რის შესახებაც შეატყობინებს შესაბამის საფინანსო ორგანოს. თუ საქმეში არ არის მსჯავრდებულის ქონების აღწერა, იგზავნება ცნობა იმის შესახებ, რომ ქონების აღწერა არ მომხდარა.

მუხლი 21. ქონების კონფისკაციის სახით სასჯელის აღმასრულებელი ორგანო

ქონების კონფისკაციის სახით სასჯელს აღასრულებენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლოს აღმასრულებლები ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 22. ქონება, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება

კონფისკაციას ექვემდებარება ქონება, რომელიც მსჯავრდებულის პირველ საკუთრებას შეადგენს, მათ შორის მისი წილი საერთო საკუთრებაში, აგრეთვე მსჯავრდებულის ანაბრები სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

კონფისკაციას არ ექვემდებარება თვით მსჯავრდებულისა და მის კმაყოფაზე მყოფთათვის აუცილებელი ქონება, რაც აღნიშნულია იმ ქონების ნუსხაში, რომელიც არ ექვემდებარება კონფისკაციას სასამართლოს განაჩენით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართი).

დავა იმ ქონების კუთვნილების შესახებ, რომელიც სასამართლოს განაჩენით კონფისკაციას ექვემდებარება, წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

მუხლი 23. სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედება ქონების კონფისკაციის შესახებ განაჩენის აღასრულებლად

აღმასრულებელი ფურცლის მიღების შემდეგ სასამართლოს აღმასრულებელი დაუყოვნებლივ ამოწმებს აღწერაში მითითებული ქონების არსებობას, ავლენს სხვა ქონებას, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება, და აღწერს ამ ქონებას. თუ არის ცნობა იმის შესახებ, რომ ქონების აღწერა არ მომხდარა, სასამართლოს აღმასრულებელი იღებს ზომებს მსჯავრდებულის იმ ქონების გამოსაცალკევებლად, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება, და მისი აღმოჩენისთანავე აღწერს ამ ქონებას.

აღწერაში უნდა მიეთითოს თითოეული საგნის სრული და ზუსტი დასახელება, მისი განმასხვავებელი ნიშნები (მათ შორის წონა, ფერი, მეტრაჟი, გაცვეთის ხარისხი). აღწერილი საგნები დაიალმბეს ან დაილუქება, რის შესახებაც აღწერაში შეიქვთ შესაბამისი აღნიშვნა.

სასამართლოს აღმასრულებლის მიერ შედგენილი ქონების აღწერა უნდა დამტკიცოს სახალხო მოსამართლემ.

სასამართლოს აღმასრულებელი იღებს აუცილებელ ზომებს იმ ქონების დაცვა-შენახვისათვის, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება და აღწერილია.

მსჯავრდებულის წილს საერთო საკუთრებაში, სასამართლოს აღმასრულებლის წარდგენებით, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, განსაზღვრავს ის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო, რომელთანაც იმყოფება სასამართლოს აღმასრულებელი.

მუხლი 24. კონფისკებული ქონების გადაცემა საფინანსო ორგანოებისათვის

მსჯავრდებულის კონფისკებული ქონების გადაცემა საფინანსო ორგანოებისათვის ხდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად, მისდამი წაყენებული ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ. იმ პრეტენზიებზე, რომლებიც კონფისკებული ქონების ხარჯზე უნდა დაკმაყოფილდეს, სახელმწიფო პასუხს აგებს აქტივის ფარგლებში.

საფინანსო ორგანოებისათვის კონფისკებული ქონების გადაცემა წარმოებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 25. მესამე პირთა პასუხისმგებლობა იმ ქონების დამალვის ან მითვისებისათვის, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებსაც აღმოაჩნდებათ საკონფისკაციო ქონება, მოვალენი არიან შეატყობინონ ამის შესახებ სასამართლოს ან შესაბამის საფინანსო ორგანოს.

აღნიშნული ქონების დამალვის ან მითვისებისათვის დამნაშავეები მიეცემიან პასუხისგებაში კანონის შესაბამისად.

მუხლი 26. განაჩენის აღსრულების შემდეგ გამოვლენილი ქონების კონფისკაცია

იმ შემთხვევაში, როდესაც მთელი ქონების კონფისკაციის ნაწილში განაჩენის აღსრულების შემდეგ, მაგრამ გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების კანონით დადგენილი ვადების გასვლამდე აღმოჩნდება მსჯავრდებულის არაკონფისკებული ქონება, რომელიც შეძენილია საკონფისკაციო სახსრებით განაჩენის გამოტანამდე ან მის შემდეგ, სასამართლო წყვეტს საკითხს დამატებით გამოვლენილი ქონების კონფისკაციის შესახებ იმ წესით, რაც საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილია განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტად.

მუხლი 27. აღსასრულებელ მოქმედებათა დამთავრება

კონფისკებული ქონების საფინანსო ორგანოებისათვის გადაცემის შემდეგ აღმასრულებელი ფურცელი ქონების კონფისკაციის შესახებ განაჩენის აღსრულების აღნიშნით უბრუნდება განაჩენის გამომტან სასამართლოს.

საფინანსო ორგანოები განაჩენის გამომტან სასამართლოს უგზავნიან ქონების კონფისკაციის ნაწილში განაჩენის აღსრულების დამადასტურებელ ცნობას.

თავი VII

სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

მუხლი 28. სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა და ამ წოდებათა მიმნიჭებელი ორგანოების მოქმედება

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა განაჩენი მსჯავრდებულისათვის სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ, განაჩენის ასლს, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, უგზავნის წოდების მიმნიჭებელ ორგანოს.

იმ განაჩენის ასლის მიღების შემდეგ, როდესაც მსჯავრდებულს ჩამოერთვა სამხედრო ან სპეციალური წოდება, ამ წოდების მიმნიჭებელ ორგანოს შესაბამის დოკუმენტებში დადგენილი წესით შეაქვს ჩანაწერი მსჯავრდებულისათვის წოდების ჩამორთმევის შესახებ და იღებს ზომებს მისთვის ამ წოდებასთან დაკავშირებული ყველა უფლებისა და შეღავათის ჩამოსართმევად, რის შესახებაც ატყობინებს სასამართლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18121

მუხლი 29. მსჯავრდებულისათვის ორდენების, მედლების, სპატიო სიგელ-ებების ან სამხედრო და სხვა წოდებების ჩამორთმევის შესახებ წარდგინების შეტანის წესი და ვადები

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა განაჩენი და დაადგინა მსჯავრდებულისათვის ორდენის, მედლის, სპატიო სიგელის ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მინიჭებული სპატიო წოდების, ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მინიჭებული სამხედრო თუ სხვა წოდების ჩამორთმევის თაობაზე წარდგინების შეტანა, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ხუთი დღის ვადაში წარდგინებას, განაჩენის ასლს, აგრეთვე ჯილდოებსა და მათს დოკუმენტებს გადაუგზავნის იმ ორგანოს, რომელმაც მსჯავრდებული ორდენით, მედლით, სპატიო სიგელით დაჯილდოვა ან მიანიჭა მას სპატიო, სამხედრო თუ სხვა წოდება. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აღნიშნული ორგანო ატყობინებს განაჩენის გამომტან სასამართლოს.

თავი VIII

მშობლის უფლებების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

მუხლი 30. მშობლის უფლებების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა განაჩენი მშობლის უფლებების ჩამორთმევის შესახებ, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, განაჩენის ასლს უგზავნის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვის ადგილსამყოფელის მიხედვით მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, აგრეთვე იმ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერ ორგანოს, სადაც რეგისტრირებული იყო ბავშვის დაბადება, დაბადების საქტო ჩანაწერში სათანადო აღნიშვნების შესატანად.

თუ მშობლის უფლებაჩამორთმეულ მსჯავრდებულს უხდიან ბავშვებისათვის დანიშნულ პენსიას, დახმარებას, სხვა გადასახდელს, ანდა ბავშვების სარჩენ ალიმენტებს, სასამართლო მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ განაჩენის ასლს უგზავნის შესაბამისად აღნიშნული თანხების გამცემ ორგანოს, ან სასამართლოს ამ თანხების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ადგილის მიხედვით მათი იმ საბავშვო დაწესებულების ან პირის სასარგებლოდ გადარიცხვის საკითხის გადასაწყვეტად, რომელთაც ბავშვი აღსაზრდელად გადაეცათ.

იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია ბავშვის იძულებითი ჩამორთმევა და მისი გადაცემა სხვა პირებისა ან საბავშვო დაწესებულებებისათვის, განაჩენის გამომტანი სასამართლო, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ

სახ. სსრ. კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელ ფურცელს და განაჩენის ასლს აღსასრულებლად მიაწოდებს სასამართლოს აღმასრულებელს.

ბავშვის იძულებით ჩამორთმევასთან დაკავშირებულ აღსასრულებელ მოქმედებებს სასამართლოს აღმასრულებელი შეასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აუცილებელი მონაწილეობით.

მუხლი 31. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების მოქმედება მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის აღსასრულებლად

მსჯავრდებულისათვის მშობლის უფლებების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის ასლის მიღების შემდეგ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იღებს აუცილებელ ზომებს ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, ხოლო მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს დადგენილი წესით შესაბამისი ცვლილება შეაქვს ბავშვის დაბადების საქმეში ჩანაწერში.

მუხლი 32. მშობლის უფლებების აღდგენა

მშობლის უფლებებს აღადგენს სასამართლო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წარდგინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

3 ჟურნალ „მნათობის“ მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „მნათობის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“** მიენიჭოთ:

დათოშვილს ლეილა სოლომონის ასულს — რედაქციის გამგეს.

შატბერაშვილს მზია გიორგის ასულს — უფროს ლიტერატურულ თანამშრომელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 4 იანვარი.

№ 2885—X.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

4 ამხ. ს. დ. ჩხარტიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს სანდრო დომენტის ძე **ჩხარტიშვილს** მიენიჭოს **საპატიო** წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 24ი ივნარი.
№ 2903—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

5 აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხალხური შემოქმედების განვითარებაში დამსახურებისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი საშემსრულებლო საქმიანობისათვის აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ხაბაძეს ენვერ სულეიმანის ძეს — სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ ქორეოგრაფს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

ნოღაიდელს გულნარა ოსმანის ასულს — მთავარ დირიჟორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

გოგიბერიძეს ბეხრი ალის ძეს — აკომპანიატორს.
ეგუტიძეს გრიგოლ ვარლამის ძეს — სოლისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგოროყვას ვახტანგ ელისეს ძეს — სოლისტს.
კალანდაძეს ილია პავლეს ძეს — სოლისტს.
მოვსესიანს პოღოს სურენის ძეს — აკომპანიატორს.
ფადეევას თამარ დიმიტრის ასულს — სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 25 ივნისი.
№ 2908—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

6 ჟურნალ „მნათობის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში დამსახურებისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო **ჟურნალი „მნათობი“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 4 ივნისი.
№ 2883—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

7 ჟურნალ „მნათობის“ მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „მნათობის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ავიაშვილი მარიამ ილიას ასული — ლიტერატურული თანამშრომელი.

ანდღულაძე თამარ ლუკას ასული — სამეცნიერო განყოფილების რედაქტორი.

თარგამაძე ნაზი დომენტის ასული — ლიტერატურული თანამშრომელი.

კომახიძე ლალი დავითის ასული — კორექტორი.

ჩაკვეტაძე რუსუდან ასკალონის ასული — ტექნიკური რედაქტორი.

ხიზანიშვილი ელენე პეტრეს ასული — კორექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 4 იანვარი.
№ 2884—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

8 ამხ. ვ. გ. ჩანტლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების ოთხმოცა წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე ამხ. ვასილ გიორგის ძე **ჩანტლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 4 იანვარი.
№ 2886—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

9 ამხ. ი. მ. გრძელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ივანე მიხეილის ძე **გრძელიძე** დაჯილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 11 იანვარი.
№ 2892—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

10 ამხ. ო. გ. კაციტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოადგილე ამხ. ომარ ბენიამინის ძე **კაციტაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 17 იანვარი.
№ 2896—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

11 ამხ. ო. ლ. კობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კინოხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ოთარ ლეონტის ძე **კობერიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 17 იანვარი.
№ 2894—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

12 ამხ. ე. გ. მაღლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ედიშერ გიორგის ძე **მაღლაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშკარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 17 იანვარი.
№ 2895—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

13 ამხ. პ. შ. თორდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საავიაციო მრეწველობის დარგში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი ამხ. პანტიკო შალვას ძე **თორდია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშკარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 22 იანვარი.
№ 2899—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

14 ამხ. ს. დ. კერვალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დამზადების სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადების სამინისტროს კოლეგიის წევრი, სამმართველოს უფროსი, ამხ. ი. ი. ი. გო დავითის ძე **კერვალიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 22 იანვარი.
№ 2900—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

15 ამხ. ო. ნ. კაკაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ოთარ ნიკოლოზის ძე **კაკაბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 24 იანვარი.
№ 2902—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

16 ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების სისტემის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დიდი წვლილისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებით ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 25 იანვარი.
№ 2906—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

17 ჭიათურის № 1 საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდისა და სწავლების საქმეში დიდი წვლილისათვის და დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით ჭიათურის № 1 საშუალო სკოლა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 25 იანვარი.
№ 2907—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

18 ამხ. კ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო კონტროლის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაც-

ვის განყოფილების გამგე ამხ. კონსტანტინე გიორგის ძე **ახვლედიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 31 იანვარი.
№ 2913—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

19 ამხ. ი. ე. ბურდულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ავიამუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ივანე ესტატეს ძე **ბურდული** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 31 იანვარი.
№ 2912—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

20 ამხ. გ. ს. უმანკოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგოს ძე **უმანკოშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 31 იანვარი.
№ 2909—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

21 ამხ. ბ. დ. ჭაჭიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს ორგანიზაციულ-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. გივი დარისმანის ძე **ჭაჭია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 31 იანვარი.
№ 2911—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

22 ამხ. ნ. დ. ხახუტაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონერი ამხ. ნინო დურსუნის ასული **ხახუტაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 31 იანვარი.
№ 2910—X